საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/177 " 15 " აგვისტო 2019 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტისათვის
საბიუჯეტო განაცხადის წარდგენაზე თანხმობის მიცემის შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 67-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 35-ე და 36-ე მუხლების შესაბამისად:

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი საერთო სასამართლოების 2020-2023 წლების საბიუჯეტო განაცხადის ფორმები.

2. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში საერთო სასამართლოებისა და სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის დაფინანსების ნაწილის პროექტის საქართველოს მთავრობისათვის წარდგენის მიზნით, სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა უზრუნველყოს პირველ პუნქტში აღნიშნული საბიუჯეტო განაცხადის საქართველოს ფინანსთა სამინისტროში წარდგენა ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი